

პროგრამის სახელწოდება

ელექტროსამონტაჟო სამუშაოები



პროგრამის სახელწოდება: ელექტროსამონტაჟო სამუშაოები

პროგრამის სახე: გადამზადება

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა : 15 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

დარგის შესაბამისი სამუშაო გამოცდილება.

აპლიკანტთა შერჩევის

ფორმა: გასაუბრება

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით გადაამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულებას საყოფაცხოვრებო და საწარმოო გარემოში. შეძლებს ელექტრული წრედების, ელექტრო მანქანებისა და დანადგარების და განათების მონტაჟსა და შემოწმებას შრომის უსაფრთხოების უახლესი რეგულაციების გათვალისწინებით.

პროგრამის მოკლე აღწერა:

ელექტროსამონტაჟო სამუშაოების პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები დაბალი ძაბვის ელექტროობაში და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით. პროფესიული გადამზადების პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. პროფესიული გადამზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ. სწავლების განხორციელება შესაძლებელია ორგვარი მიდგომით:

- პროფესიული გადამზადების პროგრამა ხორციელდება დაწესებულებაში და ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულებაში.
- პროფესიული გადამზადების პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. კერძოდ, ზოგიერთი სწავლების შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში.

სწავლება განხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

სწავლის შედეგები (აღინიშნება ცოდნით და უნარით)

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საინჟინრო კომპონენტების ხაზვა;
- სამუშაო გარემოში საფრთხეების აღწერა;
- რისკების შეფასება და შემთხვევით და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების განმარტება;
- ელექტრული სქემის მიხედვით მასალების შერჩევა;
- ელექტრული წრედებში, დაცვის მეთოდების და პროცედურების გამოყენება;
- განათების და ძალოვანი წრედების მონტაჟი და შემოწმება საყოფაცხოვრებო და საწარმოო გარემოში.
- ცვლადი დენის მანქანების მუშაობის აღწერა
- ელექტრული მოწყობილობის საკონტროლო წრედების დისისტემების მუშაობის აღწერა

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი

ორგანიზაციები:

- შპს „რემონტი ჯ“
- შპს "ანაგი"
- შპს „ზომა“

დასაქმების სფერო:

- ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა (ფართო სფერო)